

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

ქიმიური და ბიოლოგიური დეპარტამენტი

საგრანტო პროექტი N39: „ვირტუალური სასწავლო ლაბორატორიული სამუშაოების და სადემონსტრაციო ვიდეო მასალის შექმნა ზოგად ქიმიაში“

პროექტის ხელმძღვანელი: ჟ. პეტრიაშვილი

საბოლოო ანგარიში

პროექტი N39 - „ვირტუალური სასწავლო ლაბორატორიული სამუშაოების და სადემონსტრაციო ვიდეო მასალის შექმნა ზოგად ქიმიამში“ - ხანგრძლივობა იყო 12 თვე (15.10.2013 – 15.10.2014). დაფინანსება შეადგენდა 11000 ლარს.

პროექტი წარმატებით დასრულდა მითითებულ ვადაში.

პროექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო 7 პრაქტიკული სამუშაოს და 5 სადემონსტრაციო მასალის შექმნა.

ჩვენს მიერ შექმნილი პრაქტიკული სამუშაოებია:

1. ქიმიური ბმა და ელექტროგამტარობა;
2. მჟავათა შედარებითი სიძლიერე;
3. ფუძეთა შედარებითი სიძლიერე;
4. ბუფერული ხსნარები;
5. კომპლექსური ნაერთები;
6. მჟავა ოქსიდების და მჟავების მიღება;
7. ნატრიუმის ტუტის მიღება;

სადემონსტრაციო მასალა შეიქმნა შემდეგ თემებზე:

1. ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა;
2. იონური და კოვალენტური ბმა;
3. ვალენტური ბმების მეთოდი;
4. მეტალური ბმა;
5. წყალბადური ბმა და წყლის უნიკალური თვისებები.

შექმნილი სადემონსტრაციო მასალა და პრაქტიკული სამუშაოები გამოვცადეთ ქ. თბილისის კერძო სკოლაში „XXI საუკუნე“, სადაც მივიღეთ დადებითი შეფასება, როგორც მოსწავლეების, ისე პედაგოგიური კოლექტივის მხრიდან. ერთ-ერთი პრაქტიკული სამუშაო - „ქიმიური ბმა და ელექტროგამტარობა“ წარმოვადგინეთ კონფერენციაზე "ინოვაციური მიდგომები პედაგოგიურ პრაქტიკაში", რომელიც ჩატარდა ქ. თბილისში, 2014 წლის 10 მაისს.

პრაქტიკული სამუშაო „კომპლექსური ნაერთები“ წარვადგინეთ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ტარდება 2014 წლის ნოემბერში ქუთაისის აკ.წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პრაქტიკული სამუშაოების კომპლექტი წარდგენილი გვქონდა 2014 წლის 10-12 ივნისს ქართული ტექნოლოგიების გამოფენაზე, რომელიც ჩატარდა ექსპო-ჯორჯიაში.

სადემონსტრაციო მასალა წარმატებით იქნა გამოყენებული ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე სალექციო კურსის მიმდინარეობისას.

ხელმოწერა:

პროექტის ხელმძღვანელი:

ჟ. პეტრიაშვილი

პროექტის მენეჯერი:

ი. მოსაშვილი

თარიღი: